

სკოლა ,,კაი ყმა“

შემოქმედ მოსწავლეთა ლიტერატურული კრებული

2015

ავტორები: უჩა თორდია, ქეთევან რუხაძე , გვანცა თულაშვილი, გიორგი ჩემინავა , მარიამ ჩანქსელიანი, მარიამ გოგონაძე, მილა მეტრეველი, საბა თულაშვილი, ვაჟა ჯოხიძე.

რედაქტორი: სალომე დონაძე

მხატვრები: დიანა ბიბილეიშვილი, ანა შიშინაშვილი.

კომპიუტერული უზრუნველყოფა: ნონა გორგილაძე.

სარჩევი

1. უჩა თორდია.....5
2. ქეთევან რუხაძე.....10
3. გვანცა თულაშვილი.....19
4. გიორგი ჩემინავა.....21
5. მარიამ ჩანქსელიანი.....22
6. მარიამ გოგონაძე.....25
7. საბა თულაშვილი, ვაჟა ჯოხიძე, მილა მეტრეველი.....26

უჩა თორდია IX კლასი

რას ფიქრობს ჭიქა?

ერთ მაგიდაზე თეთრმა ჭიქამ

იკითხა ჩუმად :

- რატომ კოცნის ყველა ჩემს კიდეს?

შემდეგ ინატრა(ქალს რომ შეხედა)

ნეტავ მან შესვას

წყალი მუცლიდან... ჩემი მუცლიდან...

თავისი ნაზი, რბილი ტუჩებით

თან მეამბოროს , თან მესაუბროს...

დამრჩეს სახსოვრად მისი პომადა,

დაუვიწყარი ამბორი მისი...

***

წვიმისფერია სული ხანდახან...
გული გრძნობებსაც ითხოვს წვიმისფერს...
და შემოდგომის დღეთა კვალდაკვალ,
ოცნება ჩუმად დროსაც ივიწყებს...
ნამიან ფიქრზე როცა დადიხარ...
ან უცნაურად მთვარეს უღიმი...
როცა პატარა სანთლის ლანდი ხარ...
ღამეულ სუნთქვის მცირე შუქივით.

***

ისევ ის წარსული,
ისევ ის ამბები ძველი,
ისევ ის ნაღველი,
სევდა,დაუშრობი ცრემლი.
ისევ ის ოცნება,
ნისლში არეული გზები,
ისევ იმ ზღაპარში
ისევ შენ ერთადერთს გელი.
მჯერა,რომ მოხვალ
და შენი მზერა მეტყვის:
,,ამდენხანს გელოდი
და როგორც იქნა შეგხვდი“.
ისევ ის წარსული,
გადაულახავი ზღვები...
ისევ იმ ზღაპარში
ისევ შენ ერთადერთს გელი...

***

ქარის ზაუზუნით შემკრთალი ღამე
და უშენობის მაუწყებელი
მილულავს თვალებს,
გადავიწყების მორევში მძირავს...
სხეულს მიმძიმებს სული კივილით
აღვიძებს ირგვლივ მიმოფანტულ
უკუნით წყვდიადს...
ეს ბნელი ღამე წყლულებს მიხსნის,
მაფორიაქებს...
ქარი კი იბრძვის და აშრიალებს
ბოლო იმედებს...
წამოიტირებს წვიმის წვეთებად...
ტირის, ეს ღამეც გადაირია -
ბნელ სილუეტებს მიხატავს
ცხვირწინ...
სიბნელემ სულშიც შემოაღწია
და ორღობეში ჭრიალი ისმის,
გაბზარულ გულს კვლავ
ჭრაქი უნთია,
მთავრდება ტრფობის
ეს ისტორიაც...

***

ცხოვრების ბოლომდე სულ ჩემთვის იცოცხლე,
ცხოვრების გულისთვის ტაძარში ილოცე,
ცხოვრების გულისთვის ერთი რამ იცოდე.
ყოველთვის იცოდე, ხარ ჩემი სიცოცხლე

შენ მოხვედი

ერთი ჩვეულებრივი დღის ჩვეულებრივი ადამიანი ვიყავი, რომელიც იდგა სახურავის კიდეზე და ელოდებოდა . იდგა და ფიქრობდა... იღიმოდა... დამინახა. გაოცდა. მითხრა :

-შენ მოხვედი- ადამიანი , რომელსაც ზურგი შევაქციე, დავცინე, დასანახავადდ ვერ ვიტანდი... შენ მოხვედი .

და ცდილობ ჩემს გადარჩენას, ის კი ის... ალბათ.... ის არ მოვიდა ...ვინც მიყვარდა , ვის მკლავებშიც ვიძინებდი, ვინც სიყვარულს მეფიცებოდა... მან მიმატოვა და შენ მოხვედი. მიკვირს. არც ველოდი, ასე ძალიან თუ გიყვარდი .

-ახლა ხომ იცი, ძალიან რომ მიყვარხარ.

-ახლა კი ვიცი , მაგრამ ძალიან გვიანია.

-შენ თუ დღეს, ამ მშვენიერ დილას აპირებ სიცოცხლის დასრულებას, მეც თან გამოგყვები, - ვუთხარი და უკან გადავიხარე... დავინახე, როგორ გამოიქცა ჩემკენ, გადმოხტა , ხელი ჩამკიდა და ჩამეხუტა... მისი გულის ცემა ვიგრძენი... თითქოს არ ნერვიულობდა და აცივდა...

ავედით...გამოჩნდა იგი სხივოსანი , მასპინძელი ჩვენი. გააღო კარი და შეგვიძღვა...

...

-ნეტავ რას დასტირით,
წვიმის წვეთებო?

ცხოვრებას რად მიხდით
სევდიან სტროფებად ,
სტროფებს კი - ცხოვრებად ,
უაზრო ცხოვრებად?!

თან მინდა ვუსმინო
თქვენს ჩურჩულს საამურს...

და ერთხელ მაინც
თავს დამატეხეთ კოკისპირული
თქვენი აზრები!

მაგრამ რად გისმენთ?
ან რა აზრები?
რა სიბრძნეს ვეძებ მე თქვენს ფიქრებში?
თქვენ ხომ სიკვდილი
გაქვთ განზრახული...

გამოღვიძება

როცა სახლში ხარ სრულიად მარტო ,
როცა დამტვერილ სარკეს უყურებ
ცოტათი ბრაზით და გაკვირვებით.. მერე ფეხებქვეშ დაიდგამ სკამს
და ჭაღზე შეფსკვნილ ყულფს ყელზე მოირგებ...
როცა უაზრო ფიქრი აგიტანს... როცა იხსენებ ორივეს სახეს
და უეცარი ბაწრის დაჭიმვა...
უკუნეთში კი ხედავ ანგელოზს...
გამოღვიძება...
ძირს დაყრი პურის ნამცეცებივით
უაზრო ფიქრებს...

ქეთევან რუხაძე X კლასი

რაზე ფიქრობენ არდადეგებზე მარტო დარჩენილი სკოლის კედლები?!

ულამაზესი გაზაფხული მიიწურა და ზაფხულის თაკარა დღეები დადგა. გამოცდებიც დამთავრდა, ბოლო ზარმაც ჩამოკრა, დაცარიელდა სკოლის ეზო და შენობა.

-ეჰ! როგორ დადუმდა აქაურობა... -ამბობს ფანჯრებჩასმული კედელი და ოხვრით გადახედავს მოპირდაპირე კედელს.

-რას ვიზამთ?! ამქვეყნად ყველაფერი რაღაც კანონზომიერებას ემორჩილება. ალბათ ასეთია ღვთის ნება. ყველას და ყველაფერს ზოგჯერ ამოუცნობი, ზოგჯერ აშკარად გამოხატული მოვალეობა აკისრია. აი, მაგალითად, ეს კარი, ჩემს მხარეს ჩამოკიდეს.

-მე კი უფუნქციოდ დამტოვეს და ,,ყრუ" კედელი შემარქვეს! -ამბობს უკმაყოფილოდ მესამე.

-ჩემს გულზე დაფა გააკრეს და ზედ ცარცით ბავშვები და მასწავლებლები წერენ. -ქედმაღლობს მეოთხე კედელი.

-გამოდის, რომ მე საჭირო არ ვყოფილვარ! - იწყინა მესამე კედელმა და ცოტა ხნის ფიქრის შემდეგ დაამატა: ჩვენ, ყველანი, ადამიანის ხელმა აგურ-აგურ აგვაწყო, სახურავი დაგვხურა და შენობად გვაქცია. ჩვენ შორის არის რაღაც კავშირი, ბმა, რომლითაც ერთმანეთს ძალას ვაძლევთ და მყარად ვდგავართ. უერთმანეთოდ ვერც ფორმას შევინარჩუნებდით და ვერც სახეს. -თქვა მესამე კედელმა და ამ სიტყვებით მისი არსებობის აუცილებლობა დაამტკიცა.

- ადამიანის ხელმა შიგნიდან და გარედან გაგვალამაზა, შეგვღება. ჩემს შუაგულში ჭაღი დაკიდა და აქაურობა გაანათა. -სიტყვით გამოვიდა ჭერი.

- მე კი, ყველაზე მძიმე მოვალეობა დამეკისრა, ყველა ჩემზე დადის! - წყენა ვერ დამალა აქამდე გაჩუმებულმა იატაკმა.

- კარგი საქმეა გაკეთებული. სწორ, მყუდრო ადგილას აგვაშენეს და მეტად კეთილშობილური საქმე დაგვაკისრეს. სკოლად გვაქციეს და შესანიშნავი სახელი: ,,კაი ყმა“ გვიწოდეს. -ამბობს ფანჯრებიანი კედელი და განაგრძობს:

- ეს სახელი ვაჟა-ფშაველას ლექსის მიხედვით შეგვირჩიეს. ვაჟა ყველაფერში სულიერებას ხედავდა. მან ადამიანის ენით აალაპარაკა ყველა და ყველაფერი: მთის ბალახი, კლდე, ხმელი წიფელი. მე ჩემი ფანჯრებიდან ყველაფერს ვხედავ. ჩემი მხარე ყველაზე ნათელია და ამიტომ თქვენზე მეტი ვიცი. - წაიტრაბახა ფანჯრიანმა



კედელმა.

- მეც გამეგება რაღაც. - გაბრაზდა ,,ყრუ“ კედელი.

- ვაჟა ახლა ცოცხალი, რომ იყოს, ყველაზე კარგად გაგვიგებდა, ლამაზი სიტყვებით შეგვამკობდა. ჩვენს ფიქრებს, წუხილს და სიხარულს ქაღალდზე გადაიტანდა და საოცარი ჟღერადობის ლექსად აქცევდა.

- შენ ,,ყრუ" კი არა, ყველაზე სმენამახვილი და გონიერი ყოფილხარ. -შეაქო იგი დაფიანმა კედელმა და გაჩუმდა...

- ხედავ, ამინდი შეიცვალა, წვიმა იწყება. - სიჩუმე დაარღვია ფანჯრებიანმა კედელმა.

- ოჰ, ეს წვიმა. ხანდახან მომაბეზრებელია, თუმცა მასში არის რაღაც საინტერესო. მისი წვეთები სახურავზე ხმაურით ეცემიან და მიყრუებულ არემარეს აცოცხლებენ. - ამბობს ,,ყრუ" კედელი.

- შენ რა გენაღვლება, დასველებისგან დაცული ხარ. მე კი, თუ ვინმეს ფანჯარა დარჩა გახსნილი, ვსველდები და ვიცრემლები. -თქვა იატაკმა.

- სისველე რას ჰქვია?! ქარი მოუქროლებს და გაგაშრობს ან სულაც ვინმე ნაჭრით გაგამშრალებს. ადამიანები ამბობენ, კედლები დანესტიანდაო და ხშირად მიზეზს ეძებენ. ზოგჯერ ნამდვილი მიზეზი ძნელი საპოვნელია. -განაგრძო ფილოსოფოსობა ,,ყრუ" კედელმა.

- რა არის სხვა მიზეზი? -იკითხა ჭერმა.

- შენ მხოლოდ მაშინ სველდები, როცა ფანჯრიდან წვიმა ჩამოიღვრება, ჩვენთან კი საქმე სხვაგვარადაა. ჩვენ უფრო მეტად ადამიანის გარეშე გვიჭირს არსებობა და ამის გამო ვნესტიანდებით. უფრო სწორად, ეს სისველე ჩვენი ცრემლებია. მოლოდინით დაღლილი, მარტოობის ცრემლები. - წარმოთქვა ,,ყრუ" კედელმა და რატომღაც კარიან კედელს გადახედა.

- კარი როცა იღება, აუცილებლად ვინმე შემოდის და აქაურობა სითბოთი ივსება, თუმცა ხანდახან ქარი შემოაღებს მას და უაზროდ აჭრიალებს. ამ უკანასკნელს ადამიანების ფუჭად გატარებულ ცხოვრებას ვადარებ. ვინც არაფერს ქმნის და

სიცოცხლის უდიდესს ნაწილს მხოლოდ მომხვეჭელობას უთმობს, ან სულაც ძილსა და უქნარობაში ატარებს დროს. - თქვა კარებჩასმულმა კედელმა და ჩაიცინა.

- ჩემი ფიქრები შორს მიდიან. ერთი ნატვრა მაქვს, მალე გავიდეს ეს ცხელი ზაფხული და დაიწყოს სასწავლო წელი. ბავშვების მხიარულებაში გამოცოცხლდეს აქაურობა და ჩვენ, ლოდინის მაგივრად, დაკისრებული მოვალეობის შესრულებას შევუდგეთ. - თქვა ,,ყრუ" კედელმა და უცბადვე გაჩუმდა, რადგან დანარჩენებისაგან რაღაც გაქილიკების, დაცინვის მაგვარს მოელოდა.

თუმცა დანარჩენებიც მიმხვდარიყვნენ საკუთარ დანიშნულებას, კედლად ყოფნის არსს...ვალდებულებას ადამიანების წინაშე...

-გახსოვთ, მთელი წლის გამავლობაში რა არ გადაგვხვდა თავს? -მოულოდნელად ალაპარაკდა ფანჯრებიანი კედელი.

- ბავშვების გადაჭარბებულ ცელქობაზე ზოგჯერ ვბრაზდებოდი. გარედან ბურთი მხვდებოდა, შიგნიდან - ფეხი. მათი საქციელი ახლა მხოლოდ ღიმილს მგვრის.

- ზოგჯერ მასწავლებლებიც განაწყენებული იყვნენ ბავშვების გადაჭარბებული ცელქობით.

- ჩემს დაფაზე ხან ვირის მსგავსს, ხან ყურებდაცქვეტილ, მახინჯ ცხოველებს ხატავდნენ და გულიანად ხარხარებდნენ. მათი მხიარულება ჩემთვის მისაღები იყო. ზოგჯერ პატარები, ზოგჯერ მოზრდილებიც კინკლაობდნენ, თითქოს რაღაც მიზეზს პოულობდნენ, მაგრამ დარწმუნებული ვარ, რომ მათ ძალიან დააკლდებათ და მოენატრებათ ერთმანეთი. - დაასკვნა დაფიანმა კედელმა და გაირინდა...

ზაფხულის უკანასკნელი დღეც მიიწურა და სექტემბერი დადგა...

სკოლის ზარმაც ჩამოჰკრა...

წამის სიჩუმეში თითქოს ჩავწვდი ზაფხულში მარტო დარჩნილი კედლების სევდას... მთელი სკოლის კუთხე- კუნჭული დავიარე... ხელები ფართოდ გავშალე და ცოტა არ იყოს ვიღრიალე:

- გვესაუბრეთ , ჩემო სკოლის კედლებო! თქვენი ხმა მიაწვდინეთ ყველა ბავშვს და იქნებ მაშინ მაინც დაისადგუროს ამქვეყნად ჯერ კიდევ მიუღწეველმა სრულმა ჰარმონიამ ...

ბებოს საათი

დღეს კვირაა. ექვს საათს აჩვენებს ბებოს დანჯღრეული საათი. რადგან ბებია ვახსენე, აქვე ვიტყვი, ახლა ვზივარ მის სახლში. ჩემ ირგვლივ უამრავი წიგნია. ავირბინე მესამე სართულზე. აქ ჩემი ოთახია. დღეს პირველად მივმართე ბებოსა და ბაბუს ასეთი კითხვით:

-მუზა გამიქრა ბე, რა ვქნა? შეგიძლია მირჩიო რა დავწერო? -ვკითხე და მოუთმენლად ველოდი პასუხს. გურული რისი გურულია, მწარედ თუ არ მოგიბრუნა სიტყვა. მანაც მითხრა:

- გოგო, წაი მომშორდი ახლა აქედან...ჩაკილტე მაი კარი და ტელეფონი მომაწოდე.

არ შევეშვი. ძალიან ჯიუტი ვარ. (ალბათ დედას დავემსგავსე) ისევ ვკითხე:

-ბე, ამხელა ქალი ხარ და დავიჯერო ცხოვრებაში რაიმე საინტერესო თავგადასავალი არ გადაგხდა?

- ქეთუშა, ,,ჩემი თავგადასავალი“ აკაკი წერეთელმა უკვე დაწერა და მე რა ,,ჰილარიო ბუერა“ მნახე, ოცდაშვიდი ლექსი ერთ ღამეში, რომ დავწერო? არ მაფიქრდება არაფერი და ახლა თუ გინდა, გახსენი ,აი ,და ამეიღე რამე...-ჩაიცინა ბებომ და თავის თავზე მიმანიშნა ხელით.

ჩემს გურულ ბებოს, ლია ჰქვია და ვერ იტანს, როდესაც ლიანას ვეძახით. მეც, რა თქმა უნდა, შანსი ხელიდან არ გავუშვი და მივმართე:

- ლიანა, არაა მაი კაი საქციელი!.. - ვითომ მეც დავცინე...

უცებ ბაბუ ჩაერთო ანუ სიტყვით გამოვიდა.

-ქალო, შენ რაებს ლაპარაკობ?! შენი თავგადასავალი აკაკიმ როგორ დაწერა?

მე ხელი თავში შემოვირტყი და გამეცინა.

- აბდალა, ლიანას მოგცემ მე შენ! არ გიყვარს ბებია ხომ?

ისევ გამეღიმა და გავაგრძელე ფიქრი იმაზე, თუ რა დამეწერა... გავხედე გარეთ ღრუბლებს, მთებს, ხეებს და დავინახე სახურავზე კატა...სიცილით წამოვიძახე:

-აი, ბებო, ახლა წავალ და კატაზე დავწერ თემას. დავიწყებ: ,,ფისუნია კატა, მაგიდაზე ახტა...“ გამაწყვეტინა...

- წემივა ბებიაა ახლა გულზე და კი აღარ გეყოლები მერე...შეეშვი აბდლობას...

ამის შემდეგ კიდევ დიდი ხანი ვკინკლაობდით, მაგრამ უცებ გამახსენდა ნოდარ დუმბაძის ,,მე, ბებია, ილიკო და ილარიონი.“ იქვე მივხვდი, რომ ამ დიალოგზე უკეთ ვერაფერს დავწერდი. ჩვენი ცხოვრებაც ხომ კომედიაა. სამყარო, რომელიც ჩვენ გარშემოა, ყოველთვის ია-ვარდებით ვერ იქნება მოფენილი. ვიცი, რომ ხშირად უამრავ დაბრკოლებას აწყდება ადამიანი, მაგრამ თუ შევძლებთ და თითქმის ყველა მოვლენას იუმორის თვალით შევხედავთ, ცხოვრებას გავიადვილებთ.

მე ძალიან საყვარელი, სასაცილო ბებო და ბაბუ მყავს. ისინი ყოველდღე მახალისებენ, მაძლევენ რჩევებს... მოვა დრო და ისინი ჩემით იამაყებენ.

დანჯღრეული, ანტიკვარი საათი უკვე რვას აჩვენებს, ახლა ბებო ამას წაიკითხავს და დარწმუნებული ვარ, როდესაც დაასრულებს, იტყვის:

-ვაი, შე აბდალა შენა... გაიცინებს და მაკოცებს...

უცნობი N:2

სიყვარული... რა არის სიყვარული?...რა გრძნობაა? რატომ გავხადეთ, ჩვენ, ადამიანებმა, ამ გრძნობის სიტყვებით ახსნა შეუძლებელი?-ვეკითხებოდი საკუთარ თავს. მთვარე კი ზემოდან დამყურებდა ისევ დამცინავი ჩურჩულით: ,,სიყვარული უნდა შეიგრძნო, ჯერ პატარა ხარ და ისე ვერ მიხვდები!" მინდოდა მეპასუხა , მაგრამ არ ავყევი... ადრე თუ გვიან მაინც გეფიქრება ამ ყველაფერზე... დავრწმუნდი, რომ ეს ჩვენს ნება- სურვილზე ნამდვილად არ არის დამოკიდებული... ამასობაში ჩამეძინა... თვალების დახუჭვისთანავე ლამაზი ზღაპრის ერთ-ერთ ცარიელ ფურცელზე ამოვყავი თავი. გამეღვიძა სევდიანი ტირიფის ჩრდილში. რა თქმა უნდა, ჩემი საყვარელი რვეული და კალამი თან მქონდა. ვწერდი...ვწერდი, როგორც ყოველთვის...ბოლო ხუთი გვერდი დარჩენილიყო ჩემს ცარიელ რვეულში. ფურცლები ელოდებოდნენ შევსებას, სიცილს, ტირილს და ზღაპრის დასრულებას...როგორ დამთავრდება? რა მოხდება? რას ეტყვის? დასთანხმდება?

გვირილებით მორთულ, ნამტირალევ, ნამიან მინდორში დავინახე ტალღოვანი თმა, ჩაფიქრებული თოვლივით ქათქათა სახე და ნაღვლიანი თვალები, რომლებიც ინტერესით მიშტერებოდნენ ციცქნა გვირილას და მის პატარა, ყვითელ, მგრძნობიარე გულს... თეთრი ფოთლები ცვიოდა მწვანე ცვრიან ბალახზე და ყოველი ფოთლის ჩამოვარდნისას ისმოდა გოგონას ჩურჩული: ,,ვუყვარვარ...არ ვუყვარვარ..." დაბნეული იყურებოდა აქეთ-იქით... დამინახა, მაგრამ არ შეიმჩნია და გააგრძელა: ,,ვუყვარვარ, არ ვუყვარვარ..." თითქოს ელის ვიღაცას...მეც ვწერ ამ ყველაფერს, ვწერ იმას, რასაც ვხედავ... ვერც კი შევამჩნიე ,როგორ ან საიდან მოვიდა ის ბიჭი...უცნობი.. .მოვიდა და ხელიდან გამოსტაცა გოგონას ყვავილი.

- ისედაც ხომ იცი, რომ მიყვარხარ?

უმწეო ყვავილის ფოთლები ამ უცნობის გამო არ ცვიოდა ბალახზე... ყვავილი გამოართვა და უთხრა: ,,ბოდიში, მაგრამ შენ არ ხარ ის..." გულგატეხილ უცნობს მარცხენა თვალიდან ცრემლი ჩამოუგორდა... ჩაღუნა თავი და განაგრძო გზა... უგზოუკვლოდ დახეტიალობდა მთელი ცხოვრება...და, რაც უფრო მეტი დრო გადიოდა, კიდევ უფრო უღრმავდებოდა დატოვებული წყლული... სტკიოდა, მაგრამ მაინც ვერ ივიწყებდა...

აი, რა ყოფილა სიყვარული...ნელ- ნელა თითქოს ჩემს კითხვებზე პასუხები თვითონ მპოულობდნენ...

გოგონა აგრძელებდა: ,,ვუყვარვარ, არ ვუყვარვარ..." ერთი ფოთოლი ბოლომდე ჩამოვარდნასაც კი ვერ ასწრებს ისე მოჰყვება მას მეორე, მესამე და ასე შემდეგ...კიდევ ერთი უცნობი...არ უჩანს სახე... მკლავს ცნობისმოყვარეობა...

-ცოლად გამომყვები?-თქვა და თითქოს მისი სიკვდილ-სიცოცხლის საკითხი წყდებოდა, ძლივს ამოისუნთქა... ხელი ამიკანკალდა, გუგები გამიფართოვდა...

-იქ, ტირიფის ქვეშ , ბავშვი რომ ზის, ხედავ?

-კი, ვხედავ...

-მიდი და გაესაუბრე! ამის შემდეგ გიპასუხებ.

უცნობი ნომერი 2 მობობღდა ჩემთან... შემრცხვასავით. მე რა შუაში ვიყავი, მაგრამ სიზმარს რას გაუგებ?

-შენ ვინ ხარ?

-თავად ვინ ბრძანდებით? -კითხვაზე კითხვით ვუპასუხე...

-მე?!

-ხო, თქვენ...

-მე ის ერთადერთი ვარ!

-ეს ყველაფერი გადასარევია, მაგრამ მე რა შუაში ვარ?!

-სიყვარული იცი რა არის?

-ჰმ...ალბათ არა... რას ელით ჩემგან?

-პასუხს...

-დიდი ხანია იცნობთ?

-საუკუნეზე მეტია...

-საუკუნე? უკაცრავად და ზედმეტად დიდი ხომ არ ხართ მისთვის? - ვცადე ხუმრობა.

-მთელი ცხოვრებაა ვიცნობ...მიყვარს სიგიჟემდე...

-და მერე აქამდე სად იყავით? ...სიჩუმემ დაისადგურა... ხანგრძლივი პაუზის შემდეგ ამოიოხრა:

-დავაგვიანე?

-ნუ გეშინია და შენც მთვარესავით ნუ მელაპარაკები! მოდი ასე მოვიქცეთ: ერთი გვერდიღა დამრჩა ჩემს რვეულში ცარიელი...დაასრულებ ბოლო თავს?

არ მიპასუხა...

თვალი ჩავუკარი და რვეული მივეცი... გაიქცა...სახეზე უზარმაზარი ღიმილი...

ბოლო ორი ფურცელი შემორჩენოდა გვირილას...გოგონამ ბიჭს თვალებში ჩახედა და წარმოთქვა:

-არ ვუყვარვარ...

-კი, მაგრამ მიყვარხარ!

-ვიცი...

ბიჭმა არ დააცადა, ხელიდან გამოგლიჯა გვირილა და ჩემი რვეულის ბოლო გვერდზე ჩადო. შემდეგ რაღაც ჩაწერა და მომიტანა.

- სახლში მისვლამდე არ წაიკითხო! -გამაფრთხილა და იმ თეთრსახიანთან ერთად გაუდგა გვირილებიან გზას.

ბურუსში გაუჩინარდნენ... მე და ტირიფი დავრჩით. ტირიფი და მე. გადავშალე რვეული, დავხედე და... გამეღვიძა...

***

სიყვარული... რა არის სიყვარული?...რა გრძნობაა? რატომ გავხადეთ, ჩვენ, ადამიანებმა, ამ გრძნობის სიტყვებით ახსნა შეუძლებელი? მთვარე ზემოდან დამყურებდა ისევ დამცინავი ჩურჩულით: ,,სიყვარული უნდა შეიგრძნო, ჯერ პატარა ხარ და ისე ვერ მიხვდები!" მინდოდა მეპასუხა , მაგრამ არ ავყევი... მოვა დრო და ამაზე დიდხანს ვისაუბრებთ , ან სულაც, არაფრის ახსნა აღარ დამჭირდება...

ადამიანი

დღეს ერთი კაცი დავინახე სკოლასთან...ძალიან უცნაურად გამოიყურებოდა. აქეთ-იქით სწრაფად აცეცებდა თვალებს... თითქოს რაღაცის ეშინოდა... მისმა გამოხედვამ ჩამაფიქრა...მისი თვალები სავსე იყო წვიმის წვეთებით, რომლებიც სწრაფად მოედინებოდა და მწარე, მწვავე კვალს ტოვებდა მის ლოყებზე... ვკითხე:რისი გეშინიათ? დახმარება ხომ არ გინდათ?

-გიორგი... გიორგი მქვია...

-სასიამოვნოა, რით შემიძლია დაგეხმაროთ? შეშინებული მეჩვენებით...

-კი, მეშინია!

-რისი, ბატონო გიორგი?

-ცხოვრების... აქ გავჩუმდი... მძღოლმა დამირეკა, მოვედიო...სხვა გზა არ მქონდა, უნდა წავსულიყავი. სანამ დავემშვიდობებოდი ვუთხარი:

-ცხოვრების ნუ გეშინიათ! ერთადერთი, რამაც შეიძლება თქვენში ეს გრძნობა გამოიწვიოს, არის ადამიანი.

-ადამიანები კი არა, ხალხი... შვილო, უნდა გვეშინოდეს ბრბოსი და არა ადამიანების. შენ ადამიანი ხარ! მადლობა ამისთვის, ახლა კი გაიქეცი... გელოდებიან...

-ნახვამდის!

ეს კაცი არასდროს დამავიწყდება! მოუსმინეთ ბატონ გიორგის!.. მთელი დღე მასზე ვფიქრობ... ტანჯული ადამიანი, სანთლით ხელში, გზას უნათებს ყველას შავი გვირაბიდან თავის დასაღწევად...

გვანცა თულაშვილი VII კლასი

***

თუ დაფიქრდები, დრო ისე გავა,

როგორც ქარი ქრის ამ ღრუბლებს შორის...

მოგენატრება ძველი ცხოვრება,

ძველი მიდის და ახალი მოდის...

-რა გვეჩქარება, საით მივდივართ?-

კითხვა,რომელიც გვაწუხებს ყველას.

მიწაზე ჭრელი ფოთლების ზღვაა,

ქარო, შეჩერდი! შეწყვიტე დევნა!

***

დაქრის გარშემო სუსხიანი, ბოროტი ქარი.

გააქვს ზუზუნი, ყველაფერს გაჰკრა თავისი ბრჭყალი...

სევდამ შეიპყრო ყველაფერი: მთაცა და ბარიც...

- აქ ომი იყო, საქართველოს ხვედრი ხომ იცით?

დაჰქრის გარშემო სუსხიანი, ბოროტი ქარი...

...

შენ რომ გიხსენებ, გული მიკვდება,

ჩემი გონება სულ შენთან არის, ველარ გივიწყებ,

გული თან მიგაქვს,

არ მავიწყდები არც ერთი წამით...

გაზაფხულზე

როგორ მიყვარს გაზაფხული!

მეც და კიდევ სხვასაც...

ფრინველებსაც, ცხოველებსაც

და ულურჯეს ცასაც...

ყინული რომ გადნება,

მიწა მზისგან გათბება,
ყველაფერი გაშრება,

შორით მთებიც გალღვება...

და ეს დღე რომ დადგება,

ყველას გაუხარდება.

გიორგი ჩემინავა XI კლასი

როდესმე შევძლებ, ავაგორო თოვლის ბაბუა?

(ჩემი წარსულის ერთი ფურცელი)

ახალი წლის წინა დღე იყო, არაფერი განსაკუთრებული, მზიანი დღე იყო. ცოტა ციოდა , მგონი თოვლიც იყო. გავიღვიძე, ჩავიცვი და ავდექი, გარეთ გავედი. ახლაც მახსოვს თოვლის ხმა, რომ ხრაშუნობდა. გადავწყვიტე, ჩემს მეგობართან წავსულიყავი . გრძელი, ვიწრო ქუჩა... დავუძახე,მაგრამ სახლში არ დამხვდა, უკან დაბრუნება გადავწყვიტე ... ექვს სახლს ჩავუარე, შევჩერდი და მეორე მეგობარს დავუძახე, შევედი... ვთამაშობდით. როდესაც ლაშა შემოვიდა,ვთხოვე, თოვლის ბაბუა გავაკეთოთ -მეთქი, მაგრამ მითხრა, დღეს ვერაო, კარგად რომ მოთოვს, მაშინო. ამ დღიდან სულ ველოდებოდი თოვლის მოსვლას.

მოსაღამოვდა, ამინდი საშინლად გაუარესდა,თითქოს ცუდი რაღაც უნდა მომხდარიყო . მე და ანი ვთამაშობდით, შემდეგ მაგიდის ქვეშ დავსხედით, რაღაც ხმა გაისმა, თოფის გასროლას ჰგავდა . სასწრაფოდ გარეთ გავედი. თეთრი უზარმაზარი სახლი... ზღვა ხალხი... ყველაფერი შავი ... ოთხი ადამიანი მორბოდა,ხელში ლაშა ჰყავდათ აყვანილი, სისხლი სდიოდა, თვალებში ჩავხედე, რაღაცნაირი გრძნობა დამეუფლა, ვერ ვიტყვი, როგორი...

გრძელი დერეფანი,უზარმაზარი ოთახი, სანთლები... შუქი არაა , ტირილია, სულ შავებში არიან , არ ვიცი რა ხდება. ნელი ნაბიჯით შევდივარ და მეშინია. ლაშა რაღაცა ყუთში წევს,მაგრამ არ ვიცი რატომ, ნეტავ ადგება? ყველა რატომ ტირის? მინდა ,ყველაფერი დავივიწყო,მაგრამ

ამას ვერ ვახერხებ. ლაშა არ ამდგარა... ის დამარხეს, მიწა დააყარეს, ალბათ ახლა ცაშია... როდესმე მოვა ნორმალური ახალი წელი? 12 წელი გავიდა, თოვლიც ბევრჯერ მოსულა, მაგრამ როდესმე შევძლებ ავაგორო თოვლის ბაბუა?

მარიამ ჩანქსელიანი VI კლასი

Ggazafxuli male mova

M mova dro, rodesac dadgeba gazafxuli,

Mmova dro, rodesac mogenatreba TeTri fifqebi,

G garemo morTulia lamazi ferebiT, adeqi, gaiRviZe, gaSale xelebi.

siCumea mTaსა da barSi,

bavSvebis xma ismis am lamaz zRvaSi,

vici, mogenatreba zamTari da Tovliani mTebi,

modi, gavfrindeT, gavSaloT frTebi,

avfrindeT maRla, SevexoT Rrublebs,

zemodan gadmovxedoT mTebsa da zRvebs,

SevexoT mzes, erTad viyoT me da Sen.

T o v s

cidan Camodis fifqebi qaTqaTa,

aRar arian peplebi farfata,

gaSiSvlda xeebi, gaTeTrda tyeebi,

daTovlilia mTebi, daTovlilia gzebi,

aRar arian peplebi farfata

cidan Camodis fifqebi qaTqaTa.

quCaSi mivdiodi

quCaSi mivdiodi da garemo iyo Cumi

rogorc Cemi ucodveli guli,

Tavs vgrZnob marto da nela midis droc,

vzivar CemTvis da gavyureb horizonts,

da isev nel-nela gadis dro.

veravis ver vxedav da var marto,

sada xarT? -gamodiT xalxno.

quCaSi mivdiodi da garemo iyo Cumi,

isev molodinSia Cemi patara guli,

s i y v a r u l i

zogjer geSinia da zogjer guli sxvas gTxovs,

zogjer gciva da zogjer siyvaruli gaTbobs,

es aris grZnoba da mas hqvia siyvaruli

romelsac mudam axlavs sixaruli

ჩუმი ღამე

ღამეა,

ყველაფერი დუმს...

ქარი მიჰყვება

მტკვარს ჩუმს.

ცივა ისევ...

ძალიან ცივა..

ხეები ჩურჩულებენ მდინარის ხიდთან...

მთვარიან ღამეში დავდივარ მარტო...

ისევ გავყურებ ნისლიან მთა-ველს,

ვცხოვრობ ოცნებით-

ისევ შეგხვდები...

ღამეა,

ყველაფერი დუმს...

ქარი მიჰყვება

მტკვარს ჩუმს...

მარიამ გოგონაძე VI კლასი

ეს პატარა ტყე,
ეს პატარა მდელო,
ეს პატარა ჩანჩქერი,
აი,ეს არის ჩემი სამშობლო
აქ დავიბადე ,აქ გავიზარდე.
ეს არის ჩემი სიმდიდრე
და თუ ვინმე წამართმევს
მეც გავთავდები, აღარ ვიქნები.

ბინდი

ბინდი მაქვს თვალებში
ველარა გხედავ
გთხოვ დამეხმარე! ნუ მიმატოვებ!
მადლობა უფალს !-შენზე მუდმივი ფიქრი მასწავლა .

სიცოცხლე

ვერ დაივიწყებ, სიცოცხლეს ლამაზს,
მთელი სიცოცხლე ფრთხილად რომ ქარგავ,
ის მიდის და გტოვებს ,

შენ კი ვერაფრით ელევი საკუთარ ნაქარგს.

მილა მეტრეველი, საბა თულაშვილი, ვაჟა ჯოხიძე

VI კლასი

კომბლე

(პაროდია)

იყო და არა იყო რა, იყო ერთი კომბლე, რომელსაც ჰყავდა ბევრი ცხვარი. ცხვრები კომპიუტერთან ისხდნენ და ფეისბუქზე ფერმას თამაშობდნენ. კომბლე დიდი ღორმუცელა ვინმე იყო. ყოველდღე თითო-თითო ცხვარს ჭამდა და კოკაკოლას

აყოლებდა, თან ზეროს , შაქარმა არ ამიწიოსო. ბოლოს, როცა სამი ცხვარი დარჩა, იძულებული გახდა მენიუ შეეცვალა. ცხვრები კარფურში გაუშვა ავტომობილებისათვის მაყუჩების დაძრობით ნაშოვნი ფულით. კომბლე წინდახედული იყო და ცხვრებს ჯიპიესი ჩაუდგა, რომ ადვილად ეპოვა.

ცხვრები კომბლეზე განაწყენებული იყვნენ, რადგან მათი და-ძმები კუჭისკენ გაუყენა გზას. ცხვრებმა სამაგიეროს გადახდა გადაწყვიტეს. მოიპარეს კომბლეს საკრედიტო ბარათი, სიმწრით აწყობილი ფერარი და კახეთის გზატკეცილზე სულ 320-ით იარეს.

- დაგაზე! დაგაზე! -გაჰკიოდნენ ადრენალინმოზღვავებულები.

ძალიან რომ მოშივდათ, დიდხანს იყოყმანეს, მაკშაურმა ეჭამათ თუ გლდანის შაურმა. ბოლოს მაინც გლდანისკენ აიღეს გეზი. მეშაურმე მელამ ცხვრებს ჰკითხა:

- ცხვრებო , ცხვრებო, ნისიადო?
- არა, ბარათითო,-უპასუხეს ცხვრებმა.
- რა ბარათითო?
- კომბლესითო.
- კომბლე რა კაციაო?
- კომბლე ის კაცია, ვინც ავტომობილებს მაყუჩებს აძრობს და ფერარს აწყობს, ვინც პირველი აიპონ 6+ იყიდა, ოდნოკლასნიკები გააუქმა .ვინც ჩვენ გაგვაბრაზებს , აიღებს თავის კომბალს და თავში ჩასცხებსო.
- ვაااااა, რა კაცი გაჩითულა თქვენი კომბლე!!! მოიტათ ბარათიო.

მისცეს ცხვრებმა ბარათი, მაგრამ რად გინდა, კოდი დავიწყებოდათ. ბევრი იფიქრეს თუ ცოტა, ვერაფრით გაიხსენეს.ბოლოს გამზადებულ შაურმებს ხელი დასტაცეს , ჩახტნენ ავტომობილში და გააქროლეს.

მელამ პატრულს გამოუძახა.საპატრულოს უფროსმა, მგელმა, მთელი თბილისი დააყენა ფეხზე. ცხვრებმა გაიგონეს თუ არა სირენის ხმა, მიატოვეს კომბლეს ფერარი და იქვე ტოტალიზატორში შეცვივდნენ. ტოტალიზატორში ცალთვალა დათვს ერთლარიანი დაუვარდა და ცხვრებს დახმარება სთხოვა. ერთმა მიაწოდა . დათვმა მადლობა გადაუხადა , ცალი თვალი ინტერესით მოჭუტა და ჰკითხა:

– ცხვრებო, ცხვრებო ვისი ხართო?
– კომბლესიო.
– კომბლე რა კაციაო?
- კომბლე ის კაცია ვინც ავტომობილებს მაყუჩებს აძრობს და ფერარს აწყობს, ვინც პირველი აიპონ 6+ იყიდა, ოდნოკლასსნიკები გააუქმაო. ვინც ჩვენ გაგვაბრაზებს , აიღებს თავის კომბალს და თავში ჩასცხებსო.
– მეშინია მე თქვენი კომბლესიო,–თქვა დათვმა და ლარიანი დაუბრუნა ცხვრებს. ცხვრებმა ლარიანი ბარსასა და დინამოს თამაშზე დადეს ფსონად.ამ დროს ტოტალიზატორს მთელი საპატრულო მოადგა. ცხვრები უკანა კარიდან გაიპარნენ. უჭირდათ სირბილი, შაურმა სულ ქონად მოსდებოდათ ტანზე. იძულებულები

გახდნენ, კარაპს მედლაინში შეევლოთ. რადგან თანხა არ ჰქონდათ, განვადებით გაიკეთეს სხეულის კორექცია. მალე საპატრულო პოლიციამ შენობა ალყაში მოაქცია. ცხვრები იძულებულები გახდნენ, სარდაფში ჩასულიყვნენ. დიდი ვაივაგლახით ჩაბობღდნენ. სარდაფში ერთი კარი იპოვეს ,რომელიც გვირაბისკენ უხსნიდათ გზას. თურმე სკოლა ,,კაი ყმის" მოსწავლეებს გაეყვანათ თავის დროზე, შატალოზე ჩუმად რომ გაპარულიყვნენ. ასე აღმოჩნდნენ ცხვრები სკოლის შენობაში.

ცოტა ხნის შემდეგ ისინი ისხდნენ გაკვეთილზე და დიდი ინტერესითა და მონდომებით ეუფლებოდნენ ცოდნას. სკოლის მოსწავლეებს სხვა რა გზა ჰქონდათ, როცა დაინახეს თავად ცხვრებიც კი დაინტერესდნენ სწავლით, აბა ჩვენ რა ღმერთი გვიწყრებაო და სწავლას მოუმატეს.

ამასობაში კომბლემ უცადა, უცადა თავის ცხვრებს , რომ აღარ გამოჩნდნენ, მოძებნა ჯიპიესით , შეიტყო მათი ადგილ–სამყოფელი და მაშინვე იქით გაეშურა. სკოლაში შესვლამდე ვერ მოითმინა(მოგეხსენებათ ჩვეულება რჯულზე უმტკიცესიაო). იქვე გაჩერებულ მასწავლებლების ავტომობილებს დაერია და მაყუჩები დააძრო.

სწორედ ამ დროს საპატრულო მანქანების კოლონა მიადგა სკოლას.

– დაყარეთ წიგნები და რვეულები , გამოდით გარეთ!– გაისმა გამყინავი ხმა.

მოსწავლეებმა დიდი სიხარულით დაყარეს წიგნები , რვეულები და გარეთ გაცვივდნენ.

მგელმა ცხვრებს მიმართა:

_ ეხლა ვეღარსად გამექცევით, დაგიჭერთ და სათითაოდ შეგჭამთო.

–შენ, ეი, უვიცო მგელო, სწორი ფორმაა ,,ახლა „ და არა ,,ეხლა" –დასცინოდნენ უკვე ცოდნას ნაზიარები ცხვრები.

მგელი შეშლილს დაემსგავსა. აღარ იცოდა, რა ექნა და შენობის შტურმით აღება ბრძანა. სწორედ ამ დროს მოვარდა კომბლე , მოპარული მაყუჩი ჩასცხო თავში მგელს და სული გააფრთხობინა.

ცხვრების წაყვანა უნდოდა, მაგრამ ისინი უარზე იყვნენ. სკოლა ძალიან მოსწონებოდათ და მისი დატოვება უჭირდათ. სწავლა–განათლებაც

მოსწყურებოდათ. კომბლემ მხრები აიჩეჩა, მოპარული მაყუჩებით აბა როგორ შევძლებ სწავლის საფასურის გადახდასო.

რა ექნათ ცხვრებს? თავჩაღუნულები გაყვნენ სახლში .

საღამოს კომბლემ მათი გამხიარულება მოინდომა და ტელევიზორი ჩართო. ბარსასა და დინამოს მატჩს მოჰკრეს თვალი. წარმოუდგენელი რამ მოხდა... დინამომ გაიმარჯვა.

მესი ატირდა.

ნეიმარი ატირდა.

პიკე ატირდა.

სუარესი ატირდა.

ცხვრები კი სიხარულით დახტოდნენ. მოგებული თანხით ხომ მათ შეეძლოთ სწავლის საფასური გადაეხადათ და განვადებაც დაეფარათ.

მას შემდეგ სხედან ცხვრები და აგროვებენ ცოდნას. თავიანთი განათლებით ისინი არ ჩამოუვარდებიან სკოლა ,,კაი ყმის“ მედალოსნებს.

Genealogy